



საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ინფორმაციული ტექნოლოგიები

Information Technology

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი 0612

Bachelor of Information Technologies 0612

სწავლების ენა:

ქართული

პროგრამის მოცულობა (ECTS):

240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელები:

ნონა ოთხოზორია, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი

ლილი პეტრიაშვილი- ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი

რევაზ ხაინდრავა- ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

პროგრამის მიზანი:

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი მაღალი დონის სპეციალისტები იმ ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკაზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად:

- მონაცემთა უსაფრთხოდ მიღების, დამუშავების, გადაცემის და ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის, საკომუნიკაციო ქსელისა და კომპიუტერული სისტემების გამოყენება;

- თანამედროვე მოთხოვნებზე ადაპტირებული კომპიუტერული ქსელების აგება, სამომხმარებლო პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების დაპროექტება, პროგრამული და აპარატურული სისტემების ადმინისტრირება და სერვისული მომსახურება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში არსებული ამოცანების და პრობლემების გადაჭრა ეთიკური და სოცალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდურ გარემოში.

პროგრამის სწავლის შედეგები:

1. **გააჩნია** ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების სფეროს შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.
2. **გაიაზრებს** და კრიტიკულად **ანალიზებს** ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების, ფუნდამენტური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ძირითად პრინციპებს
3. **აიდენტიფიცირებს და განსაზღვრავს** ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით არსებულ პრობლემებს
4. **იყენებს** ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, მულტიმედია სისტემებს, კომპიუტერულ სისტემებს და ქსელებს, პროგრამული ინჟინერიის და ვებ - ტექნოლოგიების პროგრამულ და ინსტრუმენტულ საშუალებებს მის წინაშე დასმული პრობლემების გადასაჭრელად;
5. ცოდნისა და ანალიზის საფუძველზე **აფასებს** კომპიუტერული სისტემის მდგომარეობას;
6. **ახორციელებს** პრაქტიკული ხასიათის პროექტს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების და პირობების შესაბამისად;
7. **აშზადებს** დეტალურ წერილობით ანგარიშს ან პრეზენტაციას იდეების, არსებული პრობლემებისა, მათი გადაჭრის გზების შესახებ და გადასცემს ინფორმაციას ზეპირად ან/და წერილობით, კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.
8. საკუთარ სწავლის პროცესის თანმიმდევრული და მრავალმხრივი დაკვირვების საფუძველზე **ადგენს** სწავლის საჭიროებებს, **ითვალისწინებს** შექმნილ გარემოსა და პრიორიტეტებს, მონაწილეობას იღებს დარგის განვითარებაში.
9. **იცავს** სფეროში პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ეთიკის ნორმების დაცვით და უზიარებს სხვებს;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრედიტ-საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე, მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე, საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ კრედიტ-საათს).

პროგრამა აგებულია შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

- ✓ სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 155 ECTS
- ✓ სწავლის ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 30 ECTS
- ✓ თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 ECTS.
- ✓ თავისუფალი კომპონენტები -20 ECTS.

პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურას სემესტრების მიხედვით აქვს შემდეგი სახე:

პირველი სემესტრი	1. სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 15 ECTS; 2. თავისუფალი სავალდებულო სასწავლო 15 ECTS
------------------	--

მეორე სემესტრი	1. სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 15 ECTS; 2. თავისუფალი სავალდებულო სასწავლო 15 ECTS	1. 2. 3.
მესამე სემესტრი	1. სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 ECTS 2. თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები - 5 ECTS;	3. 4.
მეოთხე სემესტრი	1. სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 20 ECTS 2. სწავლის ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 5 ECTS 3. თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები - 5 ECTS;	4. 5.
მეხუთე სემესტრი	1. სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 20 ECTS 2. სწავლის ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 10 ECTS	3. 4. 5.
მექვესე სემესტრი	1. სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 15 ECTS 2. სწავლის ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 10 ECTS 3. თავისუფალი კომპონენტი - 5 ECTS	4. 5. 6.
მეშვიდე სემესტრი	1. სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 25 ECTS 2. სწავლის ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 5 ECTS;	3. 4. 5.
მერვე სემესტრი	1. სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 15 ECTS 2. თავისუფალი კომპონენტი - 15 ECTS	3. 4. 5.

<p>სწავლება-სწავლის მეთოდები:</p> <p>სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი. ✓ წერითი მუშაობა ✓ ახსნა-განმარტება ✓ ქმედებაზე ორიენტირებული ✓ პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია ✓ დისკუსია/დებატები ✓ თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება // ✓ ჯგუფური (collaborative) მუშაობა ✓ შემთხვევების შესწავლა (Case study) ✓ გონებრივი იერიში (Brain storming) ✓ დემონსტრირების მეთოდი <p>კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.</p>

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც უნდა დადასტურდეს შეფასების შედეგებით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების სწავლა-სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული კომპონენტების წილისგან შედგება.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). აქედან:

- შუალედურ შეფასება - 60 ქულა
- დასკვნითი შეფასება - 40 ქულა

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს, შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა), განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

დადებითი შეფასებებია:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - 81 – 90 ქულა;
- (C) კარგი - 71 – 80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61 – 70 ქულა;
- (E) საკმარისი - 51 - 60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა, დამოუკიდებელი მუშაობით, დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, იმავე სემესტრში, დასვნილი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F – 0 ქულა.

(F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სტრუქტურა განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით.

პროგრამის მატერიალურ - ტექნიკური რესურსი:

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უსდ-ს ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უსდ-ს ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უსდ-ს ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უსდ-ს საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უსდ-ს მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები. შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უსდ-ს ბიბლიოთეკაში დაცულია პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები, პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია online რეჟიმში სახელმძღვანელოებითა და სხვა ინტერნეტ რესურსებით სარგებლობა. მათ შორის EBSCOHost (<http://search.epnet.com>), Cambridge University Journals (<http://journals.cambridge.org>) ელექტრონული ბიბლიოთეკებით.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უსდ იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული

კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უსდ-ს ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უსდ უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე.

მიღებული ხარისხი კურსდამთავრებულს მისცემს საშუალებას დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციაში, სადაც ხორციელდება კომპიუტერული სისტემების, კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება, სერვისული მომსახურება, მონაცემთა ბაზების პროექტირება, საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა და მომსახურება, მონაცემთა ცენტრალიზებული დამუშავება, ცენტრალიზებული ვაჭრობა, საგანგებო სიტუაციების მართვა, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

N	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი/მოდული	ECTS კრედიტი/საათი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	საერთაშორისო დამოუკიდებელი გამოცდების საათები
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
			თავისუფალი (სავალდებულო) საგნები	15	10	5	5						
1	SFB.1	წინაპირობის გარეშე	აკადემიური წერა	5/125								35	90
	SFB.1.6		Academic Writing (Eng)										
2	SFB.2	წინაპირობის გარეშე	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5/125								49	76
3		წინაპირობის გარეშე	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი		5/125								
	SFB.5		უცხო ენის მოდული¹										
			უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი²	5	5	5	5						
5.1	SFB.5.1.1	წინაპირობის გარეშე	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B2.1)	5/125								64	61
	SFB.5.1.2	SFB.5.1.1	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B2.2)		5/125							64	61
	SFB.5.1.3	SFB.5.1.2	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B2. FCE1)			5/125						64	61

¹ უცხო ენის მოდული გულისხმობს სტუდენტის მიერ შესაბამისი დონის მიღწევას ინგლისურ ენაში. სტუდენტი ირჩევს იმ კომპონენტს, რომლის შესაბამისი დონეც დადგინდა ცენტრის მიერ ჩატარებული ტესტის შედეგად.

² უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი - ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელსაც სასწავლო უნივერსიტეტში არსებული უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ჩატარებული ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტირების შედეგად დაუდგინდა ინგლისური ენის ფლობის B1 დონე.

N	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი/მოდული	ECTS კრედიტი/საათი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო	დამოუკიდებელი საათები
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
	SFB.5.1.4	SFB.5.1.3	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B2.FCE2)				5/125					64	61
			უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი 3										
5.2	SFB.5.1.5	წინაპირობის გარეშე	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B1.1)									64	61
	SFB.5.1.6	SFB.5.1.5	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B1.2)									64	61
	SFB.5.1.1	SFB.5.1.6	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B2.1)									64	61
	SFB.5.1.2	SFB.5.1.1	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B2.2)									64	61
			უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი⁴										
5.3	SFB.5.1.7	წინაპირობის გარეშე	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (A 2.1)									64	61
	SFB.5.1.8	SFB.5.1.7	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (A 2.2)									64	61
	SFB.5.1.5	SFB.5.1.8	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 1.1)									64	61

³ უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი - ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელსაც სასწავლო უნივერსიტეტში არსებული უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ჩატარებული ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტირების შედეგად დაუდგინდა ინგლისური ენის ფლობის A2 დონე.

⁴ უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი - პროგრამის სტუდენტისთვის, რომელსაც სასწავლო უნივერსიტეტში არსებული უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ჩატარებული ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტირების შედეგად დაუდგინდა ინგლისური ენის ფლობის A 1 დონე.

N	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი/მოდული	ECTS კრედიტი/საათი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო	დამოუკიდებელი მოსაზიობა
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
	SFB.5.1.6	SFB.5.1.5	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 1.2)									64	61
			უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი⁵										
5.4	SFB.5.1.9	წინაპირობის გარეშე	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (A .1)									64	61
	SFB.5.1.7	SFB.5.1.9	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (A 2.1)									64	61
	SFB.5.1.8	SFB.5.1.7	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (A 2.2)									64	61
	SFB.5.1.5	SFB.5.1.8	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 1.1)									64	61
			ძირითადი სპეციალობის სავალდებულო მოდულები და სასწავლო კურსები/საგნები										
6	SITB0612.1	წინაპირობის გარეშე	დაპროგრამება Python-ზე 1	6/150								64	86
7	SITB0612.2	წინაპირობის გარეშე	კალკულუსი 1	5/125								49	76
8	SITB0612.3	წინაპირობის გარეშე	შესავალი ციფრულ ტექნოლოგიებში	4/100								49	51

⁵ უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი - პროგრამის სტუდენტისთვის, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდებით არ ჩაუბარებია ინგლისური ენა. ან სასწავლო უნივერსიტეტში არსებული უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ჩატარებული ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტირების შედეგად ვერ ადასტურებს კომპეტენციას.

N	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი/მოდული	ECTS კრედიტი/საათი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	საკონტაქტო დამოუკიდებელი მოცულობა
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
				9	SITB0612.4 SITB0612.4. En.1	წინაპირობის გარეშე	კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია Computer Architecture and Organization		5/125				
10	SITB0612.5	შესავალი პროგრამირებაში	დაპროგრამება Phyton-ზე 2		5/125							49	76
11	SITB0612.6	კალკულუსი 1	კალკულუსი 2		5/125							49	76
12	SITB0612.7	კალკულუსი 2	დისკრეტული მათემატიკა			5/125						49	76
13	SITB0612.8	დაპროგრამება Phyton-ზე 2	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება - C#			5/125						49	76
14	SITB0612.9	კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია	ოპერაციული სისტემების საფუძვლები			5/125						49	76
15	SITB0612.10	წინაპირობის გარეშე	შესავალი მონაცემთა ბაზებში			5/125						49	76
16	SITB0612.11 SITB0612.11 .En.2	კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია	კომპიუტერული ქსელების საწყისები Basics of Computer Networking			5/125						49	76
17	SITB0612.12	წინაპირობის გარეშე	ვებ-ტექნოლოგიების საფუძვლები				5/125					49	76

N	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი/მოდული	ECTS კრედიტი/საათი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო	დამოუკიდებელი საათები
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
18	SITB0612.13 SITB0612.13 .En.3	კომპიუტერული ქსელების საწყისები	კომპიუტერული ქსელები Computer networks				5/125					49	76
19	SITB0612.14	ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება - C#	ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები				5/125					49	76
20	SITB0612.15	შესავალი მონაცემთა ბაზებში	მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება				5/125					49	76
21	SITB0612.16	კალკულუსი 2	მონაცემთა დამუშავება SPSS სისტემაში					5/125				49	76
22	SITB0612.17	ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები	ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება Java					5/125				49	76
23	SITB0612.18	ვებ-ტექნოლოგიების საფუძვლები	ვებ-პროგრამირება (PHP)					5/125				49	76
24	SITB0612.19 SITB0612.19 .En.4	კომპიუტერული ქსელის მუშაობის პრინციპები	ქსელური უსაფრთხოება Network security					5/125				49	76
25	SITB0612.20	დისკრეტული მათემატიკა	ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები						6/150			49	101
26	SITB0612.21	ვებ-ტექნოლოგიების საფუძვლები	ღრუბლოვანი გამოთვლები						4/100				

N	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი/მოდული	ECTS კრედიტი/საათი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
												საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
35	SITB0612.E1	საინფორმაციო ტექნოლოგიები	Microsoft Excel -ის სიღრმისეული კურსი	5/125								49	76
36	SITB0612.E2	ოპერაციული სისტემების საფუძვლები	ოპერაციული სისტემა - LINUX	5/125								49	76
37	SITB0612.E3	საინფორმაციო ტექნოლოგიები	კომპიუტერული მოდელირება	5/125								49	76
38	SITB0612. E4 SITB0612. E4.En.6	წინაპირობის გარეშე	კიბერუსაფრთხოება Cybersecurity	5/125									
39	SITB0612.E5	წინაპირობის გარეშე	გრაფიკული პროგრამირება	5/125								49	76
40	SITB0612.E6 SITB0612.E6.En.7	კომპიუტერული ქსელები	ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტა Blockchain and Cryptocurrency	5/125								49	76
41	SITB0612.E7	დაპროგრამება Python-ზე 2	ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება (c++)	6/150								63	87
42	SITB0612.E8	ობიექტზე ორიენტირებული	პროგრამული უზრუნველყოფის დიზაინი და დამუშავება	5/125								49	76

N	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი/მოდული	ECTS კრედიტი/საათი								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
												საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
		დაპროგრამება - C#											
49	SITB0612.17	საინფორმაციო ტექნოლოგიები	მონაცემთა დამუშავება და ვიზუალიზაცია – MS Power BI	5/125								49	76